
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში 2010 წლის

2 ივნისს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე:

„საქართველო-რუსეთის ურთიერთობები: დიალოგის
აღდგენის პერსპექტივები“

ძირითადი მომხსენებლები:

ირაკლი მენაღარიშვილი – სტრატეგიულ
გამოკვლევათა ცენტრი, დირექტორი

დავით ზურაბიშვილი – „რესპუბლიკური პარტიის“
წევრი

რამაზ საყვარელიძე – პოლიტოლოგი

მოდერატორი: ზვიად ქორიძე

ზვიად ქორიძე – მოგესალმებით. დღეს ბიოლის ფონდში ტრადიციული სადისკუსიო დღეა. თემა, რომელიც სადისკუსიოდ შეირჩა, საკმაოდ აქტუალურია, ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნიათ მის ორგანიზატორებს, თუმცა რადგან გვეწვიეთ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეს თემა თქვენთვისაც საინტერესოა. შესაძლოა იგი მთლად არ შეესატყვისება პოსტსაარჩევნო განწყობებს, თუმცა შესაძლოა ამ კონტექსტშიც დავინახოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. არის თუ არა ამ ურთიერთობების შეცვლის, გაუმჯობესების რესურსი, ან რა პერსპექტივები გააჩნია საქართველოსა და რუსეთის შემდგომ თანამშრომლობას და თანაარსებობას.

წარმოგიდგინო ჩვენს მომხსენებლებს: ირაკლი მენაღარიშვილი გახლავთ სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი, რამაზ საყვარელიძე – პოლიტოლოგი და დავით ზურაბიშვილი – „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი. ჯერ მომხსენებლებს მოვუძინოთ და შემდეგ დავსვათ შეკითხვები.

ივლიანე ხაინდრაგა, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი – დღევანდელი დისკუსიის ორგანიზატორებისგან თუ იყო მცდელობა, დაკავშირებოდათ და მოგეწვიათ ხელისუფლების წარმომადგენლები, იქნებ აეხსნათ რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც საქმე აქამდე მიიყვანეს. და მეორე მხრივ, თუ გიცდიათ დაკავშირება მაგალითად, ზურაბ ნოლაიდელთან, რომელიც უშუალო მონაწილეა იმისი, რაც მივიღეთ და ახლა აქვს საიდუმლო, როგორ მოაგვაროს რუსეთთან ურთიერთობა.

ზვიად ქორიძე – ხელისუფლების წარმომადგენლებთან იყო მოლაპარაკებები, ზურაბ ნოლაიდელს, როგორც ვიცი, ორგანიზატორები არ დაკავშირებიან.

ხათუნა მურდულია – ჩვენ დღეს გვსურდა ექსპერტთა მოსაზრებები მოგვესმინა. არ გვინდოდა დისკუსიას მწვავე პოლიტიკური ელფერი ჰქონოდა.

ზვიად ქორიძე – ეს არის თემა, რომელზეც პირადად მეც ძალიან ბევრ სადისკუსიო სივრცეში მიმიღია უარი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან, იმიტომ რომ ერთი მხრივ, ეს არ არის თემა, რომელზეც შეიძლება ვისაუბროთ საჯაროდ, და მეორე – ვისაუბროთ ახლა, იმიტომ რომ ეს თემა არ არის აქტუალური. თუმცა, არის თუ არა აქტუალური, ეს კიდევ საკამათოა.

მოვუძინოთ ჩვენს მომხსენებლებს.

ირაკლი მენაღარიშვილი – თემა იმდენად მრავალფეროვანია, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა, ალბათ ყველა მოთხოვნას და სურვილს ვერც დააკმაყოფილებს. ერთი შეხვედრით ამ თემის ამოწურვა შეუძლებელი იქნება, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას და ქვეყანას ასეთი სახის დისკუსიები აკლია. ამიტომ დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

ნება მომეცით გაგახსენოთ ზოგიერთი მოსაზრება ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ამ მოსაზრებათაგან ბევრი შესაძლოა, თქვენთვის ცნობილიც იყოს. მე მოგახსენებთ იმ მოსაზრებებს, რომლებსაც თავად ვიზიარებ და რომლებსაც ჩემი კოლეგები და პარტნიორები იზიარებენ. შემდეგ, იმედი მაქვს, გვექნება აზრთა გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა, რათა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გავიღრმავოთ ჩვენი შეხედულებები.

რასთან გვეკონდა საქმე 2008 წლის აგვისტოში, რას წარმოადგენდა ქართულ-რუსული ურთიერთობის დინამიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში – ამ საკითხების კორექტულად გააზრება, ჩემი აზრით, კატეგორიულად აუცილებელია იმისათვის, რომ მოვიფიქროთ როგორ გამოვიდეთ შექმნილი მდგომარეობიდან. ის, რომ ეს სიტუაცია არა მარტო მწვავე კრიზისულია და შეიცავს რეგიონული დესტაბილიზაციის ძალიან ძლიერ მუხტს, აბსოლუტურად დესტრუქციულია ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. იმიტომ რომ ისეთი ტიპის სახელმწიფოებისათვის, როგორც საქართველოა, დიდი ხნის განმავლობაში დაუბალანსებელი ურთიერთობა მეზობლებთან სერიოზული რისკების შემცველია. და ეს რისკები ყოველდღიურად შეიძლება იქცეს საფრთხედ და რეალიზდეს მძიმე შედეგებით.

პირველი – კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ეს არ გახლავთ ქართულ-რუსული ურთიერთობის განსაკუთრებული ფენომენი. ის ავლენს იმ დინამიკას, რომელსაც პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციას ვუწოდებდი. ბევრს არ მოსწონს ეს მოსაზრება და ცდილობს ამის მიღმა სხვა მიზეზები დაინახოს. შესაძლოა, მათ ლოგიკას საფუძველი აქვს კიდევ, მაგრამ ეს პროცესი მიზეზია ამ დინამიკისა და ამავე დროს, თვითონაც არის მსხვერპლი ამ ომის. ომის შემდეგ ამ ტრანსფორმაციამ ასეთი სპეციფიური სახე მიიღო და ეს, მე მგონი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მეორე – რასთან გვეკონდა საქმე 2008 წლის აგვისტოში – ექსტრემალურ გამოვლენასთან იმ დაპირისპირებისა, რომელიც დიდი ხანია არსებობს ჩვენს რეგიონშიც. ეს არის კოლიზია ორი ნაციონალური პროექტისა, ქართული და რუსული – რუსული ელიტის მიერ რუსეთის მოაზრებული განვითარების ნაციონალური პროექტისა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს წინა პერიოდში უკიდურესად მწვავე და აგრესიული ფორმა მიიღო, და მეორე მხრივ, ნაციონალური პროექტისა, რომლის რეალიზაციასაც საქართველო ცდილობს, ანუ იმ არჩევანის რეალიზაციისა, რომელიც საქართველომ საუკუნეების მიჯნაზე გააკეთა.

მესამე – ეს გახლავთ ახალი რეალობა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელსაც გათვალისწინება სჭირდება. რუსეთმა გადალახა ის ზღვარი, რომლის იქით იწყება მოვლენების სხვაგვარი დინამიკა, და მას სჭირდება განსხვავებული შეფასება და დამოკიდებულება როგორც მოთამაშეთა, რუსეთის პარტნიორთა, რომელთა მიმართაც რუსეთმა შეიძლება იგივე გააკეთოს, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. სამწუხაროა ის, რომ თუკი პირველ ეტაპზე ამ კონფლიქტისა ასეთი გაგება კონფლიქტისა საკმაოდ მწვავედ იყო დასავლეთში, დღეისთვის ის სათანადო სიმწვავეს ვერ ინარჩუნებს.

აგვისტოს მოვლენა, რასაკვირველია, არ ყოფილა საქართველო-რუსეთის კონფრონტაცია. აქ რუსეთი საქართველოს სახით დასავლეთს ებრძოდა. ებრძოდა კავკასიაში დასავლეთს და მეტსაც გეტყვით, არა ერთი რუსი ექსპერტის მონაცემებით, რომლებიც მათ გააჩნიათ უფრო სანდო წყაროებიდან, რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ისტებლიშმენტის მაღალი ეშელონებიდან, ამ მოვლენების პირველ დღეებში იქ აზრიც კი ტრიალდებდა, რომ დასავლური, კერძოდ, ამერიკული მონაწილეობა ბევრად უფრო აქტიური იყო, ვიდრე ეს იყო რეალურად.

და კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც, ვფიქრობ, აუცილებელია მომავლის დაგეგმვისათვის – აგვისტოს ომი გახლდათ ლოგიკური გაგრძელება სამშვიდობო პროცესის კოლაფსისა, რომელიც თავიდანვე განწირული იყო ასეთი ფინალისათვის, რამდენადაც მთელი იმ წლების განმავლობაში, როდესაც ეს მოვლენები ვითარდებოდა, პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. ქართული მხარის პოლიტიკა კი არათანმიმდევრული იყო და ამან საბოლოოდ მიგვიყვანა იქამდე, რომ კონფრონტაციის

ამგვარი გამოვლინების პირობები შეიქმნა. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ სტატუს-კო არ ნიშნავს მოწესრიგებისათვის სწრაფვას, და მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ეს კონფლიქტები არსად არ გამქრალა. როდესაც ვამბობთ, რომ არ არსებობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები და არის მხოლოდ ქართულ-რუსული კონფლიქტი, თავს ვიტყუებთ. რა თქმა უნდა, არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ რა სცენარიც არ უნდა განვითარდეს, ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დგას. არ არის ცუდი, რომ ხელისუფლებაში უკანასკნელ პერიოდში გაჩნდა რიგი ნაბიჯებისა, რომლებიც ამ მიმართულებით არის ორიენტირებული, მაგრამ კონფლიქტების მოწესრიგების პოლიტიკის ფორმირებისას საჭიროა ამ საკითხის ფუნდამენტურად დასმა. ეს არ არის მხოლოდ ქართულ-რუსული კონფლიქტი, მიუხედავად იმ გავლენისა, რაც დღეს აქვს რუსეთის ხელმძღვანელობას აფხაზურ ან სამხრეთ ოსეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეს. შეიძლება ითქვას, რომ ომი არ დასრულებულა, იმიტომ რომ არ არსებობს ომის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. არის მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, რომელიც არ სრულდება. და მეორე მხრივ, არ ჩამოყალიბებულა მექანიზმი, რომელიც ახალ სამხედრო კონფრონტაციას თავიდან აგვაცილებდა. მხოლოდ ორი დადებითი მომენტი შეიძლება მთელ ამ ისტორიაში გამოჩნდეს, პირველია ევროკავშირის გამოჩენა მეტნაკლებად აქტიურ როლში სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ძალადობის თავიდან ასაცილებლად, მეორეა ტალიავიანის კომისიის მიერ ჩატარებული გამოკვლევა, სადაც პირველად, ოფიციალურ დოკუმენტში, პირდაპირ ითქვა, თუ რა როლს ასრულებდა რუსეთი ამ კონფლიქტთან მიმართებაში. ეს არის ჩემთვის ცნობილი პირველი შემთხვევა, როდესაც ოფიციალური პირი აცხადებს, რომ ამ კონფლიქტებში პროცესებს მართავს რუსეთი და ის არ არის ისეთი მონაწილე, როგორც იყო წარმოდგენილი მთელი ამ წლების განმავლობაში მიღებულ დოკუმენტებში.

რა შეიძლება იყოს ამის შემდეგ? პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ როგორ უყურებს პერსპექტივას ორივე მხარე. სამწუხაროდ, არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ რომელიმე მხარე ეძებს გამოსავალს. შეიძლება ითქვას, რომ ომი გრძელდება სხვა სახით. რუსეთმა ომის დროს ვერ მიაღწია თავის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ მიზანს და ამჟამად მიმდინარე პროცესების ამ მიზნისთვის გამოყენებას ცდილობს. ქართული მხარეც საკმარისად არაკონსტრუქციულია, იმიტომ რომ მხოლოდ და მხოლოდ სტატუს-კვოს შენარჩუნებას უწყობს ხელს, რომელიც თავის მხრივ ძალიან პირობითია, ილუზორულია, იმიტომ რომ სიტუაციის ტოტალური კონტროლის საშუალება უბრალოდ არ შეიძლება ჰქონდეს ქართულ მხარეს. მეორეს მხრივ, პარალელური პროცესები მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ შეიძლება განვითარდეს. მათ შორის, შიდა პოლიტიკური დინამიკა, ის მოტივები, რომლებიც ჩნდება შიდა პოლიტიკურ ძალებში და ა.შ.

საჭიროა დიალოგი, კონტაქტი იმისათვის, რათა ვეძებოთ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. დიალოგის საჭიროებაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, შევეცდები მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, რა უშლის ხელს დღეს დიალოგს. და რა შეიძლება გაკეთდეს ამ წინააღმდეგობის მოსახსნელად. დიალოგისადმი მიდგომა ორივე მხრიდან ნაკლებპროდუქტიულია. მოსკოვი ამბობს, რომ არ დაელაპარაკება საქართველოს ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს, ვიდრე ქვეყნის სათავეში სააკაშვილის ხელისუფლებაა, ცდილობს მოძებნოს ალტერნატივები, და ხდება ის, რასაც ყველანი თვალს ვადევნებთ. ქართულმა მხარემ, ოფიციალურად, ყოველ შემთხვევაში, თავის მხრივ გამოაცხადა, რომ დიალოგი არ დაიწყება, ვიდრე არ მოხდება ტერიტორიების დეოკუპაცია. დეოკუპაცია კი

ვერ მოხდება დიალოგის და შესაბამისი პოლიტიკური პროცესების გარეშე, ასე რომ შეიკრა მოჯადოებული წრე და დღეს ამ წრის ტყვეები ვართ. შედეგად გვაქვს უმართავი პროცესები, ინიციატივას ხელში იღებენ გარკვეული პოლიტიკური ძალები, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ან სცენაზე გამოდიან საერთაშორისო აქტორები, რომლებიც მხარეების სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს სთავაზობენ კონტაქტებს. როგორც ვხედავთ, დაბალ დონეზე რაღაც პროცესები მაინც მიდის. ამას ხელს ვერ შეუშლის ხელისუფლება, ასე რომ ჩვენ კი ასე რეალურად არასწორად გაგებული სტრატეგიული მოთმინების რეჟიმში ვართ, მაგრამ რეალურად პროცესი უკონტროლოდ, კოორდინაციის გარეშე მიმდინარეობს და არავინ იცის, რა შედეგს გამოიღებს, თუკი ეს მიდგომა დიდხანს გაგრძელდება.

ამ მდგომარეობის დაძლევისთვის, ჩემი აზრით, აუცილებელია რამდენიმე პირობა. პირველი – დიალოგის დასაწყებად ორივე მხარის მიერ საჭიროა პოლიტიკური ნება. საჭიროა იმის გაგება, რომ აღნიშნული სტატუს-კვო ორივე მხარის საზიანოდ მუშაობს. ამისთვის საჭიროა დიალოგის პროცესი გატანილ იქნეს შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების ზონიდან, არ ხდებოდეს ამ თემის ჰიპერტროფირება. ეს ცდუნება ხელისუფლებასთან ერთად მთელმა საზოგადოებამ უნდა დაძლიოს. ამის გაკეთება არ იქნება ადვილი არც რუსეთის, არც საქართველოს მიერ, იმიტომ რომ წლების განმავლობაში განხორციელებული აგრესიული პროპაგანდა უშედეგოდ ვერ ჩაივლიდა. რა თქმა უნდა პლატფორმა ძალიან ნეგატიური და დამუხტულია, მაგრამ პოლიტიკოსის როგორც ოსტატობა, ისე პოლიტიკური ნების აუცილებლობა სწორედ ამ სირთულის დაძლევაში გამოიხატება.

მეორე – რუსეთთან დიალოგის ფორმირებისთვის აუცილებელია ქართულ მხარეს ჰქონდეს კარგად გააზრებული სტრატეგია. დღეს ასეთი სტრატეგია ქართულ მხარეს არ გააჩნია. მხარეში ვგულისხმობ როგორც სახელმწიფო ხელისუფლებას, ისე მთელ ჩვენს საზოგადოებას. მოძრაობების არჩევანი, პოლიტიკური ნაბიჯების არჩევანი თავისუფლად არის მიშვებული იმათ ნებაზე, ვის როგორ ესმის ეს საქმე და ვინ როგორ ხედავს ამას საჭიროდ საკუთარი პოლიტიკური თუ ქვეყნის ინტერესებისათვის.

მესამე – სტრატეგია, რა თქმა უნდა, უნდა დაეფუძნოს ფართო დისკუსიას საზოგადოებაში, იმიტომ რომ ეს არ გახლავთ ერთი პოლიტიკური ჯგუფის გადასაწყვეტი საკითხი. სწორედ ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი შეხვედრა ალბათ უკვე 2008 წლის მიწურულიდან იყო საჭირო დაწყებულიყო ფართო მასშტაბით, როდესაც პირველი ემოციები განელდა. სამწუხაროდ, დღემდე ასეთი საშუალო მხოლოდ ცალკეული ინიციატივების სახით ხორციელდება.

სტრატეგიის მიზანი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს თანამშრომლობის პოზიტიური დღის წესრიგის პერსპექტივების ძიება, იმ შესაძლებლობების, სფეროების ძიება, სადაც იმ სიტუაციაშიც კი, რომელშიც დღეს ქართულ-რუსული ურთიერთობებია, შესაძლებელი იქნება საუბარი თანამშრომლობაზე თუ არა, ურთიერთგაგებაზე მაინც. აქ, რა თქმა უნდა, სიტუაციის შემდგომი დამძიმებისა და გამწვავებისგან დაცვის მიზნით მაქსიმალური თავშეკავებაა საჭირო. მოქმედება არ გულისხმობს აუცილებლად უმაღლესი დონის შეხვედრებს. ეს საქმე როგორც წესი, ასე არ კეთდება. პირველ ეტაპზე, პირიქით, დამატებითი არხებით უნდა დამყარდეს კონტაქტები. ასეთი დამატებითი დიპლომატიური ინსტრუმენტების ჩამოყალიბების მცდელობა არის. არის სურვილი ჩვენი დასავლელი პარტნიორებისა, ხელი შეუწყონ ამას, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე ხელშესახები წარმატება ამ მიმართულებით არ ჩანს.

და ბოლოს, ჩვენი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, ჩვენი სტრატეგია რუსეთთან საქართველოს ინტერესების შესაბამისი სამეზობლო მოწყობისა, უნდა დაეფუძნოს რუსეთის, როგორც პარტნიორის, ღრმა და პროფესიულ ცოდნას, რომელიც დღეს საქართველოს საზოგადოებას და მის აკადემიურ ელიტას აღარ გააჩნია. გამოცდილების ის ნარჩენები, რაც საბჭოთა პერიოდიდან და 90-იანი წლებიდან შემოგვრჩა, არასაკმარისია. რუსეთი დღეს სრულიად სხვა ფენომენია და მას, პრაქტიკულად, არ შევისწავლით. რამდენიმე გამონაკლისის გარდა ვერ დაგისახელებთ ასეთ მაგალითებს. მათი ნაწილიც, ვერ მუშაობს იმიტომ რომ საამისოდ არც სახსარი აქვთ და არც მხარდაჭერა, ზოგიერთი კი შექმნილია კონკრეტული მოტივით და შესაბამისად, მათი მუშაობის ეფექტი ნაკლებია. ასე რომ დღეს საქართველოში არც სახელისუფლებო, არც სამოქალაქო სტრუქტურებსა თუ აკადემიურ წრეებში რუსეთს არ შეისწავლიან. პირველ რიგში ალბათ სწორედ ეს პრობლემა უნდა დაიძლიოს და შესაძლოა დღევანდელმა საუბარმაც ხელი შეუწყოს ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. მე ამით დავასრულებ თეზისების ჩამოთვლას. დღევანდელი ფორმატი უფრო ღრმა განსჯის საშუალებას არ იძლევა, სიამოვნებით ვუპასუხებ დასმულ შეკითხვებს.

ზვიად ქორიძე – დარწმუნებული ვარ, შეკითხვები მართლაც დაისმება, მაგრამ მანამდე მომხსებლებს მოვუსმინოთ. ახლა ბატონ დავითს გადავცემ სიტყვას.

დავით ზურაბიშვილი – ამ თემას ძალიან ბევრი ასპექტი აქვს. ცოტა შორიდან დავიწყებ, იმიტომ რომ იმის გასააზრებლად, თუ რა უნდა გაკეთდეს ქართულ-რუსული ურთიერთობების მიმართულებით, თუნდაც ქართული მხრიდან, კარგად უნდა გავერკვეთ იმაში, რას ეფუძნება რუსეთის პოლიტიკა. ყურადღებას გავამახვილებდი გეოპოლიტიკურ ასპექტზე, იმაზე, თუ რაში მდგომარეობს გეოპოლიტიკურად რუსეთის ინტერესი. საპასუხოდ უამისოდ წარმოუდგენელია გონივრული და რაციონალური პოლიტიკის აგება. ერთი, ზოგადად რაც შეიძლება ითქვას და ეს ყველა სახელმწიფოსთვის არის დამახასიათებელი, იქნება ის დემოკრატიული თუ არადემოკრატიული, არის საგარეო პოლიტიკაში საკუთარი გავლენის გაძლიერება და გავრცელება. ეს არის ყველა სახელმწიფოს მიზანი. ყველა ცდილობს საკუთარი გავლენის გაფართოებას. ჩვენ რომ ძლიერი სახელმწიფო ვიყოთ, ჩვენც შევეცდებოდით ამას. თუ ამ კონტექსტით შევხედავთ რუსეთს, წმინდა გეოგრაფიულად რომ მივადევნოთ თვალი, შეუძლებელია არ ჰქონდეს ძალიან დიდი და ფართო ინტერესები. ეს არის ქვეყანა, რომელიც ერთის მხრივ ებჯინება ევროპას, მეორე მხრივ კი, იაპონიას და ამერიკის შეერთებულ შტატებს ალიასკის სახით. სამხრეთით ასევე ემიჯნება ცენტრალურ აზიას, ჩინეთს და ისლამურ სამყაროს. ჩვენც ვართ მისი მოსაზღვრე ქვეყანა. უბრალოდ შეუძლებელია რუსეთი არ იყოს იმპერია თუნდაც ამ გაგებით. იმპერიაში ამ შემთხვევაში იმას ვგულისხმობ, რომ მისი საგარეო ვექტორი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იქნებოდა ეს ნებისმიერი პატარა ქვეყნისათვის. რუსეთის საგარეო პოლიტიკა დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თვითონ რუსეთი როგორი ქვეყანა იქნება. ამ კონტექსტში თუ ვისაუბრებთ, რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გავლენა ჰქონდეს სამხრეთ კავკასიაში. არა მარტო იმიტომ, რომ სამხრეთ კავკასია ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრეა, რომელიც რუსეთისთვის გასაგები ისტორიული მიზეზების გამო ტრადიციულად არის ძალიან ცხელი რეგიონი. ამ შემთხვევაში თუ საქართველო არ არის რუსეთის ექსკლუზიური გავლენის ქვეშ, მას მუდმივად აქვს საფრთხე, იგივე ჩრდილოეთ კავკასიის აფეთქების სახით. საქართველო,

მიუხედავად ჩვენი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, სამხრეთ კავკასიაში გეოგრაფიულად და გეოპოლიტიკურად წამყვანი რეგიონია, თუნდაც იმით, რომ ზღვას ვესაზღვრებით, ეს ნებისმიერ შემთხვევაში არის სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური გასაღები. რუსეთის გავლენისგან თავისუფალი სამხრეთ კავკასია წარმოშობს საფრთხეს, რომ თუნდაც ენერგომატარებლებით მდიდარი ისლამური სამყარო ცენტრალური აზიის სახით, რუსეთის გვერდის ავლით შეიძლება დაუკავშირდეს ევროპას. ეს რუსეთისთვის მიუღებელია.

შეუძლებელია რუსეთის პოლიტიკა არ იყოს მიმართული იქით, რომ საქართველოში დამკვიდრდეს მათი ექსკლუზიური გავლენა, არა აქვს მნიშვნელობა, ვინც არ უნდა მოვიდეს ქვეყნის სათავეში. რუსეთის ნებისმიერი ხელმძღვანელობა, რომელიც ამაზე უარს იტყვის და შეეცდება, რომ აქ დაუშვას ამერიკის შეერთებული შტატების თუ სხვა ქვეყნის გავლენა, აუცილებლად იმუშავებს რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ და დაასუსტებს რუსეთის გავლენას არა მარტო ამ კონკრეტულ რეგიონში, არამედ ევროპაშიც. ამიტომ ეს საკითხი რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. არ მიყვარს ისეთი ემოციური შეფასებები, როგორც არის „მტერი“, მაგრამ ის, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებში არ შედის ქართული სახელმწიფოს ძლიერება, ეს არის გეოპოლიტიკური რეალობა. უბრალოდ, არ შეიძლება იყოს სხვანაირად. ძლიერი სახელმწიფო ნიშნავს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, თავისი არჩევანი გააკეთოს და არ გაითვალისწინოს მისი ინტერესები, არ დაემორჩილოს მის გავლენას. ამიტომ ისეთი სახელმწიფო, რომელიც არ ექვემდებარება მის გავლენას, ცხადია, რუსეთის ინტერესებში არ შედის, ამიტომ მისი პოლიტიკა ასეთი იქნება. ეს ჩანს პრაქტიკაშიც და ამაში ვერაფერს ირაციონალურს ვერ ვხედავ. შეიძლება ნაწილობრივ დაეთანხმო იმას, რომ რუსეთს საქართველოს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, წმინდა გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რუსეთს სხვანაირი პოლიტიკა ვერ ექნება. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონიც ნებისმიერ შემთხვევაში ბერკეტად იქნებოდა გამოყენებული. მას სჭირდება ბერკეტი სამხრეთ კავკასიაში დასამკვიდრებლად, საქართველოზე გავლენით მას მეტი გავლენა ექნება სომხეთსა და აზერბაიჯანზეც, ესეც რეალურია გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე. ასეთია რუსეთის პოლიტიკის გეოპოლიტიკური არსი.

ახლა ჩვენი პოზიციიდან შევხედოთ ამ სიტუაციას. აქ ყველაზე უფრო არასწორი იქნებოდა და არის ასეთი ტენდენცია, რომ რადგან რუსეთს ასეთი პოლიტიკა აქვს ჩვენს მიმართ, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ გასვლას რუსული კულტურული არეალიდან, მისი ყველანაირი გავლენისგან გათავისუფლებას, მაგრამ მე მგონი, პირიქით არის. იმიტომ რომ ბატონმა ირაკლიმ სწორი ბრძანა, როდესაც იცო, რომ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ამოცანა შენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მომართული, აუცილებელია კარგად იცნობდე ამ ქვეყანას, კარგად გქონდეს შესწავლილი და რაც უფრო მეტი ისეთი ადამიანი გეყოლება იქ, ვისაც კარგად ეცოდინება რუსეთის პოლიტიკური ელიტის მდგომარეობა, რაც მეტი ლობისტი გეყოლება, ასეთ სიტუაციაში მით უკეთესი იქნება. მეგობრული ქვეყანა რომ ყოფილიყო, ეს პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ სწორედ ასეთი რადგან არის, მით უფრო გჭირდება მისი კარგად შესწავლა. გარდა ამისა, რუსული ენა, აზერბაიჯანთან ურთიერთობა გინდა, უკრაინასთან თუ ცენტრალურ აზიასთან, საერთაშორისო ენაა ამ ქვეყნებისთვის. ამიტომ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობას ვერც ერთ ვარიანტში ვერ ავცდებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქართული პოლიტიკის, სტრატეგიის გამომუშავება არ არის ადვილი საქმე. იმიტომ რომ ერთის მხრივ კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ იმას, რომ რუსეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებში არ შედის ძლიერი

ქართული სახელმწიფო, მეორეს მხრივ, ასევე აუცილებელია რაც შეიძლება კარგად ვიცნობდეთ ამ ქვეყანას, რომ როგორმე გავანეიტრალოთ ეს გეოპოლიტიკური ფაქტორი.

როგორია რეალობა? 1994 წლის მერე, როდესაც საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში, ვიდრე ახლანდელი, ახალი დამთავრებული იყო აფხაზეთის ომი, საქართველო პრაქტიკულად იყო განადგურებული ქვეყანა, ყველა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი იყო რუსეთის არმიის ოფიცერი, თვითონ რუსეთის შიდა კონიუნქტურამ შეუწყო ხელი იმას, რომ უფრო არ გართულდა ვითარება, ეს ელცინის პოლიტიკა იყო. მეორე მხრივ, შესაძლოა შევარდნაძესთან ბევრი პრეტენზია გვაქვს, მაგრამ უნდა ვალიართ ისიც, რომ მან ძალიან ჭკვიანურად წარმართა პროცესები, როდესაც საქართველოში გაჩნდა ნავთობსადენის იდეა და ქვეყანამ გეოსტრატეგიული ფუნქცია შეიძინა. შევარდნაძის დროს გადაწყდა სტამბულის ხელშეკრულებით რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხიც. საქართველო ნელ-ნელა იძენდა იმ კონტურებს, რომელიც ჩვენ ამ მტრული და აგრესიული ზეგავლენისგან გვათავისუფლებდა, მაგრამ ამ ხაზს გაგრძელება სჭირდებოდა.

2003 წლის შემდეგ, განსაკუთრებით ბუშის ადმინისტრაციის მეორე ვადით მოსვლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და ამან ჩემი აზრით, გადამწყვეტად უარყოფითი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოსთვის. თუკი ქართული სახელმწიფო მანამდე განიხილებოდა დასავლეთის და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართაც, უპირველეს ყოვლისა, როგორც ტრანზიტული სახელმწიფო ევროპაში ცენტრალური აზიის ენერგორესურსებისთვის, ამავე კონტექსტში ქართული სახელმწიფოს მთავარ კაპიტალად მოიაზრებოდა დემოკრატია, და როგორც ლიდერი დემოკრატიის რეგიონში, ეს იყო ჩვენი „საფირმო ნიშანი“ უცხოეთში, და მათ გამო გვქონდა მხარდაჭერა, ეს კი იყო რუსეთის შემაკავებელი ფაქტორი. ძნელი სათქმელია, როგორ მოხდა, მაგრამ იგივე ამერიკის შეერთებულ შტატებთან კონტექსტში, ჩამოთვლილმა ფაქტორებმა გადაიწია უკანა პლანზე და წინ წამოვიდა სულ სხვა – ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკური ფორპოსტის ფუნქცია, გასამხედროებული ქვეყანა, რომელიც ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან და რომელიც ანტირუსული სამხედრო-პოლიტიკური ბასტიონია რეგიონში. ბოლო წლების პოლიტიკას თუ დაგუკვირდებით, 2005 წლიდან მოყოლებული, ასეც არის. გახსოვთ, რამხელა ყურადღება ექცეოდა სამხედრო რეზერვს, უზარმაზარი ხარჯები მიდიოდა სამხედრო სფეროში, და ამას ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან კრიტიკა არ მოჰყოლია. საქართველო წარმოდგენილ იქნა ახლო აღმოსავლეთის ტიპის ქვეყნად, რომელსაც რაღაც ახალი ფუნქციები უნდა ეკისრა და ამ ფუნქციებით უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე იმ ტრადიციული ფუნქციით, რაც მას მანამდე ჰქონდა. ეს რამდენად განხორციელებადი იყო, ცალკე საკითხია, მაგრამ აგვისტოს ომმა ყველაფერი დაანგრია. აგვისტოს ომი იყო უმძიმესი შეცდომა. რაც არ უნდა მომხდარიყო, ამ ომში ჩაბმა არ შეიძლებოდა. ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ის გარდაუვალი იყო, მაგრამ ასე არ ყოფილა. ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო ამ ომის თავიდან ასაცილებლად, იმიტომ რომ ამ ომში გამარჯვება შეუძლებელი იყო. მესამე მსოფლიო ომი რომ არ დაიწყებოდა, ყველასთვის ცხადია, რომც დაწყებულიყო, კარგი არც იქიდან გამოვიდოდა არაფერი. რადგან ომი ვერ ავიცილეთ, თუნდაც რუსეთის გეოსტრატეგიული ფუნქციიდან გამომდინარე, ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით. საფრთხის ქვეშ დადგა ყველაფერი. ისიც კი, რამდენად წარმოდგენს დღეს საქართველო კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკურ ლიდერს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამის გამოსწორება ძალიან ძნელია.

ადრე თუ რუსეთის ჯარი იყო გაყვანილი საქართველოს ფარგლებიდან და მას გუდაუთაზე ვედავებოდით, დღეს გვყავს რუსეთის ჯარი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, მივიღეთ რუსეთის და კიდევ ორიოდ ქვეყნის მიერ აღიარებული სეპარატისტული რეგიონები, მართალია, ეს პროცესი არ გაღრმავდა, მაგრამ გაცილებით უფრო მძიმე სიტუაციაა, ვიდრე ადრე იყო. ამას ემატება ის, რომ რუსეთი აცხადებს, რომ არ დაელაპარაკება ამ ხელისუფლებას, ვიდრე სააკაშვილია ხელისუფლების სათავეში. ეს პოზიცია რუსეთისთვის ხელსაყრელია. მას არ ექმნება დიდი პრობლემები ამის გამო არც ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არც ევროკავშირთან ურთიერთობაში. ამიტომ, ვფიქრობ, ის ძალიან მშვიდად ელოდება 2013 წელს, მანამდე შესაძლოა შიდა პოლიტიკური სიტუაციაც სათავისოდ მოამზადოს. ყველანაირად შეეცდება მოახერხოს, რომ 2013 წლის მერე აქ თავისი ექსკლუზიური გავლენა საბოლოოდ დაიმკვიდროს, რაც არის ჩემი აზრით მისი მიზანი.

როგორი შეიძლება იყოს ამ სიტუაციაში ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა? დიდი არჩევანი არ გვაქვს. ჩვენგან რომც იყოს აქტიურობა, რუსეთი არ გამოთქვამს დიალოგის სურვილს, იმიტომ რომ მისთვის ეს ხელსაყრელი პოზიციაა. მე ვიცი, რომ ჩვენს ხელისუფლებაში არის ამ დიალოგის მცდელობები, შესაძლოა კულუარულ დონეზე, უამრავი დესპანი და ელჩია იქ არაფორმალურად გაგზავნილი, მაგრამ არაფერი გამოდის. არის ერთადერთი ვარიანტი, თუმცა მე მას სკეპტიკურად ვუყურებ. ამ სიტუაციაში ერთადერთი, რასაც ქართული პოლიტიკა შეიძლება დაეყრდნოს, იქნებოდა ის, რომ იმდენად „კარგად იქცეოდეს“ საქართველო, რომ გაზარდოს ფაქტორი, იმისათვის რათა ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები დაელაპარაკოს რუსეთს მოლაპარაკებების შესახებ. ეს იქნებოდა ერთი მხრივ, სერიოზული ორიენტაცია ევროკავშირისკენ, რაც გამოიხატება დემოკრატიული პროცესების რეალურად გატარებასა და კანონმდებლობის მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმაში. საუბარია ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებაზე. ესეც კი უკავშირდება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, იმიტომ რომ ასეთი კოდექსი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ევროკავშირის საგადასახადო კოდექსს. ანუ, ის ულტრალიბერალიზმი, რაც ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკაშია, არ არის ევროკავშირის პოლიტიკა. ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ დავუახლოვდეთ ევროპას, მაქსიმალურად უნდა დავანახოთ, რომ სწორედ იქ გვევლება ჩვენი თავი. ვერ ვიტყვი, რომ ეს ძალიან დიდ შანსს მოგვცემდა, მაგრამ რაღაც ბერკეტს საიმისოდ, რომ ევროკავშირს გაუჩნდეს მოტივაცია რუსეთს ურჩიოს წამოვიდეს დიალოგზე, გააჩნდა. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მხოლოდ ხელისუფლება გამოდიოდეს როგორც ექსკლუზიური მხარე მოლაპარაკებების. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს სახელით უნდა იმართებოდეს დიალოგი, ოპოზიციის ჩასვლა არა მგონია სწორი იყოს და ეს არსად ხდება. მაგრამ იმ პოტენციალს, რაც არის დაგროვილი, თუნდაც სხვა პოლიტიკურ პარტიებში, სახელმწიფო უნდა იყენებდეს. ამითაც უნდა დაანახოს რუსეთსაც და ევროპასაც, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება არის ჩვენს ინტერესებში. სამწუხაროდ, არის არათანმიმდევრულობა და ზოგჯერ ძალიან რადიკალური განცხადებებიც. ჩვენი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას ჩვენ თვითონ უნდა ვესწრაფოდეთ. ცხადია, აბსოლუტური ილუზიაა ის, რომ თუ რუსეთს რაღაცას დავუთმობთ, ამით რაიმეს მივაღწევთ. ამით არაფერი გამოვა. იმიტომ რომ როგორც გითხარით, მის ინტერესებში მხოლოდ ჩვენზე ექსკლუზიური გავლენაა. ასე რომ დათმობით ვერაფერს სასიკეთოს ჩვენი ქვეყნისთვის ვერ გამოვრჩებით. ისევე როგორც ვერაფერს სასიკეთოს ვერ გამოვრჩებით ძალიან ხისტი და მიუღებელი პოლიტიკით. ძალიან სერიოზული დაფიქრებაა საჭირო. რუსულ-ქართული ურთიერთობების ამბავი უმეტესწილად

წყდება არა იმდენად რუსულ-ქართულ ურთიერთობაში, არამედ შიდა ქართულ ურთიერთობებში. მნიშვნელოვანია აღდგენა იმ მთავარი კაპიტალისა, რომელიც დემოკრატიის სახით გვექონდა მთელ მსოფლიოში. ევროპაში ჯერჯერობით ვერ ხედავენ, რომ ჩვენ ასეთი ქვეყანა ვართ და ასეთი სახელმწიფოებრიობა გვინდა ნამდვილად. თუმცა არ მაქვს დიდი იმედი, რომ ამის სათანადო გააზრება ჩვენს ხელისუფლებაში მოხდება. თუ მოხდებოდა, ეს ქვეყანას წაადგებოდა.

ზვიად ქორიძე – ახლა ბატონ რამაზ საყვარელიძეს მოვუსმინოთ.

რამაზ საყვარელიძე – მესამე გამომსვლელს ერთი პლიუსი აქვს, წინა გამომსვლელები ხშირად ამბობენ დიდ ნაწილს იმისას, რაც სათქმელი იყო, და მე მხოლოდ ჩემი წილი შემიძლია მივამატო. მცირე კამათი შეიძლება გამომივიდეს ბატონ დავითთან. მან თავის საუბარში ჩადო რამდენიმე პოლიტიკური ელემენტი, რომელიც ჩემი აზრით, არის კლიშე და არა რეალობა. ის, რომ რუსეთი ყოველდამე ფიქრობს იმაზე, როგორ „გაკოჭოს“ საქართველო, ცოტა არარეალური მეჩვენება. იმიტომ რომ მას გარშემო ბევრი ასეთი ქვეყანა აქვს. რატომ არ ფიქრობს ის როგორ დაანგრიოს სახელმწიფოებრიობა სხვა ქვეყნებში? ამიტომ იმის თქმა, რომ რუსეთს სურს ჩვენი სახელმწიფოებრიობის დანგრევა და ამით მისი პოზიციის ახსნა, მარტივი დიაგნოზი მგონია. რეალობა ბევრად უფრო რთულია. ხელისუფლების პროპაგანდამ ალბათ მაინც თავისი გაიტანა. ეს ძირითადად ხელისუფლების კლიშეა.

მეორე კლიშედ მიმაჩნია დავითისა და გოლიათის ბრძოლის მოდელი, რომელიც ხშირად არის გათამაშებული საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აღწერისას. ეს მოდელი პრეზიდენტმა ერთხელ დიდაც ახსენა. ხშირად იგრძნობა ეს მოდელი, როდესაც საუბარია იმაზე, რომ პატარა საქართველო იბრძვის, დიდი რუსეთი კი „ჭამს“ მას. მე არ ვიცი, ვიბრძვით თუ არა იმისათვის, რომ არ შემოვუშვათ რუსეთის გავლენა. რალა საჭიროა ბრძოლა, როცა ის უკვე შემოშვებულია. მთელი ძირითადი ობიექტები რუსეთის ხელშია, რუსეთის ტანკებიც დგას საქართველოში. რაც შეეხება პოლიტიკას, აწყობს რუსეთს თუ არა ეს საომარი რიტორიკა, ეს კიდევ დამაფიქრებელია. იქნებ სწორედ რუსული პოლიტიკის ნაწილია ის, რომ იყოს ეს აგრესიული რიტორიკა და დამაბულობა? რუსეთი სისხლზე ადვილად მიდის. პირველმა პრეზიდენტმა, გამსახურდიამ როგორც კი დაამყარა დუდაევთან კავკასიური სახლის იდეის საფუძველზე ურთიერთობა, ერთი კვირის ინტერვალით მოკლეს დუდაევიც და გამსახურდიაც. ანუ ეს გზა დაუშვებელი იყო. როგორც კი მოაწერა ხელი ნავთობსადენზე შევარდნაძემ, ააფეთქეს, მაგრამ ილბალი აქვს და გადარჩა. შემდეგ კიდევ ააფეთქეს. თუ ასეთი კონფრონტაციულია დღევანდელი ქართული პოლიტიკა, ერთი ტერორისტული აქტი სააკაშვილზე რატომ არ მოხდა. ერთი მუქარა რატომ არ მოხდა? იმიტომ რომ ანტირუსული რიტორიკის ქვეშ რეალურად რუსული ინტერესის დაფუძნება მიდის. მაინტერესებს, როდემდე არ უნდა დავარქვათ სახელები მოვლენებს. თუკი მიდის რუსული ინტერესის დაფუძნება ანტირუსული რიტორიკის ქვეშ, გამოდის რომ ანტირუსული რიტორიკაც რუსული პოლიტიკის ნაწილია.

მესამე სტერეოტიპი – გაავაგებინოთ ევროპას და ის რუსეთს „ამას უზამს და იმას უზამს“. შევხედოთ ევროპას, რისი მაქნისია. აგვისტოს ომი ამის შესანიშნავი ილუსტრაცია იყო. გავიხსენოთ, რა მომენტში მოხდა ომი, როცა რუსეთს ყელში ამოუვიდა კოსოვოს პრობლემა და მისთვის ანგარიშგაუწვევლობის კიდევ რამდენიმე აქტი, გადაწყვიტა გადაედგა

ნაბიჯი, რომლითაც ჭკუას ასწავლიდა, ვეთანხმები ორივე მომხსენებელს, დასავლეთს. ამიტომ როდესაც მერე ექსპერტებს ეკითხებოდნენ, რა შედეგები მოიტანა საქართველოსთან ომმა, სიტყვა „საქართველოს“ არავინ ახსენებდა, არ აინტერესებდათ. საუბრობდნენ იმაზე, რა დაინახა ამერიკამ, ევროპამ. იმიტომ რომ ეს მათი დასანახი და მათთან ურთიერთობისთვის დაგეგმილი ომი იყო. ვის აწყობდა ეს ომი? ერთდროულად აწყობდა ამერიკასაც და რუსეთსაც. გავიხსენოთ ბუმის მაშინდელი რეპლიკები. ეს მეჩვენება იმ პოლიტიკურ რეალობად, რომელშიც ვცხოვრობთ. ამ რეალობისთვის მაქვს ერთი ლოგიკური ახსნა. თუკი მივიჩნევთ, რომ გამოსავალი ევროპასა და ამერიკაში აღარ არის, იმიტომ რომ ამერიკამ კარდინალურად შეცვალა კონფრონტაციული პოლიტიკა და დღეს პარტნიორს ეძახის რუსეთს, ვის ხარჯზე ვიწყებთ კონფრონტაციას, გაუგებარია, ეტყობა, ირანის. თუკი ეს პოტენციალი, რომ ვიღაც დაგიცავს, ჩხუბის დროს არ არის, უნდა განაგრძო ჩხუბი? მეორეც, უნდა დავაკვირდეთ, თვითონ რუსეთი განაგრძობს ჩხუბს? ნოღაიდელისა და ბურჯანაძის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ თუ შემთხვევითია, რატომ არ დადგა უფრო ადრე? ახლა რატომ გაუჩნდათ სიყვარული რუსეთის მიმართ? მეჩვენება, რომ ამის უკან დგას ერთი ლოგიკა – თუკი მივიჩნევთ, რომ რუსეთმა ყველა მიზანი აისრულა, მე არა მგონია, რომ მისი მიზანი ხელისუფლების დამხობა იყოს და სხვა ყველა მიზანი ასრულებული აქვს. მას ძალიანაც აწყობს ის ხელისუფლება, რომელიც არის. თუკი ხელისუფლების დამხობა არ არის მიზანი, გამოდის, რომ აგვისტოს ომის ყველა მიზანი მიღწეულია. პუტინი რომ ვიყოთ ნებისმიერი ჩვენგანი, განვაგრძობდით აფხაზეთის და ოსეთის დაფინანსებას, რომელსაც უკვე აღარაფერი მოაქვს ჩვენთვის? ეს მილიონები ჯდება, მით უმეტეს ოსეთში, სადაც კოკოითს ერთი დიდი ორმო აქვს გათხრილი და უშვებს შიგნით ნებისმიერ დახმარებას. ანუ ეს არის ხარჯი რუსეთისთვის, რომლიდანაც მას ხეირი აღარა აქვს. ამ პირობებში, როდესაც რუსეთი უკვე ფულს ითვლის (ამის გამო არ შეიერთა ბელორუსია), მისთვის მომგებიანია კონფრონტაციული პოლიტიკის გაგრძელება და საქართველოს დაშლის პოლიტიკა? ამ პირობებში მისთვის ნუთუ უფრო მომგებიანი არ არის რაღაც ფორმით გააერთიანოს საქართველო, მშვიდობისმოყვარის მანტიაც მოისხას და პოლიტიკური პრეტენზიები მისდამი ჩაკეტოს, და ამ რეგიონების ფული ახდევინოს საქართველოს. იმიტომ რომ თავის გავლენას იმ რეგიონებში თავისი ტანკებითა და ზარბაზნებით მაინც შეინარჩუნებს. ასე რომ ის არაფერს დაკარგავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობით. ამ ლოგიკის ფონზე, განსაკუთრებით გაუტკბა პუტინს ქართველების მიმართ სიყვარული. ოღონდ ჯერ ადრეა, იმიტომ რომ თუ ეს ლოგიკა რეალურია, და მე ვერ ვხედავ მასში დაეჭვების საფუძველს, მაშინ პუტინმა უნდა დაიცადოს კიდევ რამდენიმე წელიწადი, ვიდრე თვითონ გახდება პრეზიდენტი, და მედვედევის, როგორც პრეზიდენტის მიერ მოწყობილ ომს მშვიდობიანად არ დაამთავრებს. ამ ფონზე მეჩვენება, რომ რუსეთი უფრო ადვილად მიდის ობამას მიერ შეთავაზებულ პარტნიორობაზე, მას აწყობს კიდევ უკვე ეს პარტნიორობა, და მეჩვენება, რომ ობამას ფრაზა, რომ საქართველო აღარ არის მათი კონფლიქტის საგანი, გულისხმობს არა იმას, რომ თვითონ მიატოვა საქართველო, არამედ იმას, რომ რეალურად რუსეთისგან მიიღო თანხმობა საქართველოს მიტოვებისა. ასე რომ ჩვენ მთავარია ხელი არ შევუშალოთ პროცესებს. მაგრამ თუ ეს არაკონფრონტაციული პოლიტიკა გაგრძელდა ამ დიდ სახელმწიფოებს შორის, მე მგონია არც შეგვეკითხებიან, ისე მოაგვარებენ ჩვენს პრობლემებს. ასეთია ჩემი აზრი.

ზვიად ქორიძე – დისკუსიას გახსნილად ვაცხადებთ, ველით თქვენს მოსაზრებებს და კითხვებს.

გიორგი ხორბალაძე, „რესპუბლიკური პარტიის“ იურისტი – ძალიან საინტერესო დისკუსიაა. ჩემი აზრით, ამ საკითხზე მთლიან სპექტრშია საჭირო ფიქრი და არა ხელისუფლების ან ცალკეული ოპოზიციური პარტიების მხრიდან.

ბატონ რამაზთან მაქვს შეკითხვა. როგორც თქვენ ბრძანეთ, ობამამ საქართველოს მიტოვებაზე რუსეთისგან მიიღო თანხმობა. ლოგიკურად იგულისხმებოდა არა ის, რომ ობამამ მიატოვა, არამედ ის, რომ რუსეთი მიატოვებს. რას ნიშნავს ეს, გავლენის დათმობას თუ იმას, რომ აღარ აპირებს ბრძოლას კიდევ უფრო მეტი გავლენის მოპოვებისთვის საქართველოზე.

რამაზ საყვარელიძე – რუსეთის მხრიდან ეს იქნება დეოკუპაცია და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის შეცვლა.

რაჟდენ ჩიხორია – გასაგებია, რომ დიალოგი აუცილებელია, მაგრამ რა სახის დიალოგს გულისხმობთ. პარტნიორობა ორივე მხრიდან პასუხისმგებლობას ნიშნავს. როდესაც ერთ-ერთი ძალის წარმომადგენლები მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდნენ, რუსეთის მეორე პირმა გააკეთა განცხადება, რომ ისინი სათხოვნელად იყვნენ ჩასულები, იმიტომ რომ ქართველებმა ცეკვისა და სიმღერის მეტი არაფერი ვიცით. ასეთი მიდგომის პირობებში როგორ წარმოგიდგენიათ დიალოგი თანაბარ ძალებს შორის.

ირაკლი მენაღარიშვილი – ზოგადი მიზანი ამ დიალოგისა უნდა იყოს შესაძლო თანამშრომლობის პოზიტიური დღის წესრიგის ჩამოყალიბება. ეს რა თქმა უნდა, ძალიან ფართო ცნებაა. მე მწამს, რომ საქართველოს გააჩნია რუსეთთან ურთიერთობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები, ისევე როგორც რუსეთს გააჩნია ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში. უნდა შეჯერდეს ეს ინტერესები. ზოგიერთი პირობა, რომელიც საჭიროა ამ პროცესის კორექტულად წარმართვისთვის, უკვე ჩამოვთვალე. თუმცა დისკუსიის პირობებში შესაძლოა კიდევ გაჩნდეს ახალი იდეები. მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩემი მოსაზრებები, ეს არის პროფესიონალთა წრეში ჩამოყალიბებული მოსაზრებების ნაკრები. თუმცა, ვიმეორებ, შესაძლოა კიდევ იყოს კომპონენტები, რომლებიც არანაკლებ ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს. ამისათვის საზოგადოებაში უნდა განიხილებოდეს ეს საკითხები.

რაჟდენ ჩიხორია – რუსეთისთვის ჩვენ მაინც პატარა ქვეყანა ვართ. ეს არ მოგვწონს და მისგან როგორც თანასწორთან, ისეთ ურთიერთობას მოვითხოვთ.

ირაკლი მენაღარიშვილი – აქ ხედავთ დაუძლეველ წინააღმდეგობას?

რაჟდენ ჩიხორია – თუ დავანახეთ მას, რომ ყველამ გაგვიდა და მარტოები დავრჩით, მიხვდება, რომ სხვა გზა არა გვაქვს, სუსტები ვართ და შიშის გამო ისევ მას ვეხუტებით. რუსეთი კი არის ქვეყანა, რომელსაც ესმის მხოლოდ ძალა.

ირაკლი მენღარიშვილი – ნუ წარმოვიდგენთ დიალოგს მომენტალურ პროცესად. ეს ხანგრძლივი პროცესია და თავისი ლოგიკა გააჩნია. ის, როგორც წესი, არ იწყება მაქსიმალური მოთხოვნების წაყენებით, ისე როგორც ჟენევაში ხდება. ჟენევაში, როგორც ჩემთვის ცნობილია, ორივე მხარემ ჩამოაყალიბა ერთმანეთისთვის სრულიად მიუღებელი პოზიცია, ამიტომ ეს შეხვედრები უშედეგოდ მთავრდება. ასეთ შეხვედრებს არ აქვს პერსპექტივა, ერთადერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რაც მას აქვს ის არის, რომ ეს არის ღია პლატფორმა, რომელზეც შემდგომში, როდესაც კულისებში მიიღწევა შეთანხმება, უნდა დაფუძნდეს დიალოგის მექანიზმის პროცესი. ნამდვილი დიალოგი მინიმალური ნაბიჯებიდან იწყება. ამ პირველი ნაბიჯებით შეიძლება სწორედ მისვლა შეთანხმებამდე, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს ქართულ-რუსული თანამშრომლობის პოზიტიური დღის წესრიგი. ეს არის მიზანი. ვამბობთ, რომ დიალოგის დაწყების პირველი ნაბიჯი არის დეოკუპაცია, ვიდრე უკანასკნელი ოკუპანტი არ დატოვებს საქართველოს, დიალოგს არ დავიწყებთ. ამით დასაწყისშივე ვხურავთ კარს და დიდ ბოქლომს ვკიდებთ მასზე. ასე დიალოგი, რა თქმა უნდა, ვერ დაიწყება. საქართველო უნდა ელაპარაკოს რუსეთს როგორც პარტნიორი. შემდგომ ეტაპზე, ვინ როგორ შეხედავს მას ზომისა და სხვა პოტენციალიდან გამომდინარე, ეს შედეგი უნდა იყოს და არა წინაპირობა.

გვანცა ალფენიძე – გეთანხმებით, ბატონო ირაკლი, რომ რუსეთს არ ვიცნობთ. მაგრამ ვთქვათ, გადავწყვიტე შესწავლა, როგორ უნდა გავაკეთო ეს. ძალიან მცირე საშუალებაა ამისთვის. ამერიკაში უფრო კარგად გავიცანი რუსეთი, ვიდრე მას საქართველოდან ვიცნობდი.

ირაკლი მენღარიშვილი – გეთანხმებით, რომ რთულია, მაგრამ მაინც არსებობს კომუნიკაციის ბევრად უფრო ფართო საშუალებები წინა წლებთან შედარებით. მაგრამ ქვეყნის შესწავლა გულისხმობს ბევრ სხვა მომენტს, მაგალითად იმას, რომ გქონდეთ კონტაქტი, იქ ჩასვლის, იქაურ ექსპერტებთან შეხვედრის საშუალება.

გვანცა ალფენიძე – ბატონო რამაზ, გეთანხმებით, რომ რუსეთი ნამდვილად არ ფიქრობს, როგორ დაანგრიოს ქართული სახელმწიფო, მაგრამ ჩემი აზრით ეს იმით არის განპირობებული, რომ საერთოდ არ აღგვიქვამს როგორც სახელმწიფოს. ის ფიქრობს იმაზე, როგორ არ დაუმვას ქვეყნის შემდგომი აშენება. რაც შეეხება ევროკავშირს, ის სუსტია არა იმიტომ, რომ ევროპა გაზარმაცდა ან დაბერდა, ეს უბრალოდ არ შედის მის ინტერესებში. ჩემი აზრით, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში პირველად, რუსეთს აღარ აქვს იმდენი ძალა და ამბიცია, რომ შეაშინოს ევროპა, ამერიკა, მთელი მსოფლიო. მე ვერ ვხედავ, რომ ევროპას მისი ეშინია.

იმაშიც გეთანხმებით, რომ ეს პროცესი რაღაც ხანში თავისით გადაწყდება, მაგრამ როგორ, დეოკუპაციით თუ სრული ოკუპაციით?

რამაზ საყვარელიძე – ოკუპაცია ძალიან ძვირი უჯდება სახელმწიფოს. რუსეთს უკვე აქვს საქართველოში გავლენის სფერო. დაუწიეთ ხმა ტელევიზორს და ისე უყურეთ საქართველოს. შეხედეთ რეალურ პროცესებს. რაც დასჭირდა რუსეთს, ყველაფერი მივართვით, მათ შორის ომი, ობიექტები. მეტი აღარაფერი უნდა. უფრო მეტიც, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც კი აღარ უნდა. დღეს რუსეთი ერთ-ერთი ყველაზე პრაგმატული ქვეყანაა. რატომ შევიდა ის ევროპაში თავისი გაზით. მთელი დასავლეთი ამაზე ლაპარაკობს, რომ

რუსეთმა მთელი ევროპა გაზის ნემსზე დასვა. დღეს ყველაზე მეტად საშიშია რუსეთი. რუსეთმა მოახდინა კონტროლი ევროპაზე და თქვენ ფიქრობთ, რომ დღე და ღამე ფიქრობს, როგორ გააკონტროლოს საქართველო?

დავით ზურაბიშვილი – ბატონ რამაზს ვუპასუხებ. არ მითქვამს, რომ რუსეთის სახელმწიფოს მიზანია ქართული სახელმწიფოს დანგრევა. მხოლოდ ის ვთქვი, რომ რუსეთის მიზანია ექსკლუზიური გავლენის მოპოვება სამხრეთ კავკასიაში და აქედან გამომდინარე, საქართველოშიც. ამის გამო არ არის რუსეთისთვის ხელსაყრელი ძლიერი ქართული სახელმწიფოებრიობა. იმიტომ რომ ძლიერი ქართული სახელმწიფოებრიობა ნიშნავს ბევრ დამოუკიდებელ ბერკეტს. იმაში დაგეთანხმებით, რომ ამ მიზნის დიდი წილი უკვე შესრულებული აქვს. მაგრამ მიზნის საბოლოოდ მისაღწევად მას აქ სჭირდება სრულიად მორჩილი ხელისუფლება. ეს მას 2013 წლამდე ნამდვილად არ ეჩქარება. იმაშიც გეთანხმებით, რომ რუსეთს ახლა სულაც არ სურს ჩვენთან სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერება და ჩვენი დაშლა-დაქუცმაცება. მას სჭირდება მთელი რეგიონი, მთელი ქვეყანა და არა მისი ერთი ნაწილი. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ყოფილ რესპუბლიკაშიც გავლენა იმისთვის კი არ სჭირდებოდა, რომ ძალიან უყვარს ეს ხალხი, მას ეს ბერკეტებისთვის, ზემოქმედებისთვის სჭირდებოდა. თუ მთელ საქართველოზე გავლენას მოიპოვებს, შესაძლოა ამ რეგიონების რაღაც ღონეზე რეინტეგრაციისკენ დანარჩენ საქართველოსთან ნაბიჯები გადადგას. საკითხი ასე უნდა დაისვას, რამდენად წაადგება ეს ქართულ სახელმწიფოებრიობას.

რუსეთის მიზანს არ შეადგენს ისეთი რეინტეგრაცია, რომ რუსეთს არ დარჩეს ნებისმიერ შემთხვევაში ბერკეტები ჩვენს დასაშლელად. მას უნდა ეჭიროს ხელში ყველა გასაღები და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება წავიდეს რაღაც დათმობებზე. საერთო ინტერესები შეიძლება გამოინახოს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ახლა ისეთ სიტუაციაში ვიმყოფებით, რაც არ უნდა მოხდეს, ვერაფერს ვიზამთ. ამისთვის ხელს არც საერთაშორისო კონიუნქტურა გვიწყობს, არც შინა რესურსები. ჩვენ არა ვართ ჩეჩნები, რომლებიც შეაწყდებიან მას. კულტურულადაც არა ვართ ასეთი ერი.

ეკა ქრისტესაშვილი – ძალიან მინდა გავიზიარო ბატონი რამაზის იმედები, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, ბატონ ირაკლისთან მაქვს კითხვა. დიალოგი, გეთანხმებით, ნებისმიერ პირობებში აუცილებელია და დიპლომატიაც ალბათ სწორედ ამისთვის არსებობს. თქვენი აზრით, რა საერთო ინტერესები შეიძლება გვქონდეს რუსეთთან და რისი დათმობა შეუძლია კიდევ საქართველოს იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი რამ უკვე დათმო.

ბატონო დავით, გეოპოლიტიკური აზროვნება კარგია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის არის მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლების მოვლენა. იმედი მაქვს საქართველო უფრო ადრე გამოვა გეოპოლიტიკური ხედვებიდან, ვიდრე რუსეთი.

გიორგი ბაბალაშვილი, სტუდენტი – სამწუხაროდ ბატონი რამაზის სიტყვებში მე პესიმიზმი დავინახე. გამოდის, რომ სააკაშვილიც რუსეთის მხარეა, ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელიც ასევე რუსეთის მომხრეა. მე, როგორც ახალგაზრდას, ქვეყნის მომავალი ვერ დამანახეთ იმის გარდა, რომ რაღაც ხნის შემდეგ ვიქნებით რუსეთის დაქვემდებარებაში. ჩემთვის ეს იმედი არ არის, ბოდიშს ვიხდი.

ირაკლი მენღარიშვილი – ამ წუთას გამიჭირდება კონკრეტული ჩამონათვალის გაკეთება, თუმცა ამაზე უამრავი მოსაზრება არსებობს. პირველ ყოვლისა, ყველამ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ერთსა და იმავე განზომილებაში ვცხოვრობთ. არის ჩვენი არსებობის განზომილებები, სადაც უერთმანეთოდ უბრალოდ შეუძლებელია. მაგრამ ის რომ დღეს შექმნილი სიტუაცია მდგომარეობას ყოვლად აუარესებს, ეს მგონი ფაქტია, დაწყებული გარემოს დაცვიდან, დამთავრებული რეგიონული უსაფრთხოების განზომილებით. დღეს პრაქტიკულად პარალიზებულია თანამშრომლობის ყველა ფორმატი შავი ზღვის ფარგლებში, ასევე პარალიზებულია სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობა უფრო ფართო ჩარჩოში. საქართველო-რუსეთის ამ პრობლემის გამო, ის, რაც ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში, დარჩენილია ჩვენი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის გარეშე. უფრო მეტიც, დღის წესრიგის ისეთი ნეგატიური საკითხები ჩნდება, რომლებიც კიდევ უფრო ართულებს ურთიერთობას, გვიჩენს სამომავლო პრობლემებს და მეორე მხრივ, შესაძლოა რუსეთისთვისაც წარმოადგენდეს მძიმე გამოცდას. ამ ყველაფრის თავიდან აცილება აუცილებელია.

რუსეთს მართლაც ძალიან ძვირი უჯდება ეს გამარჯვება. ვეთანხმები ბატონ რამაზს, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მისი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სერიოზული თავია უკვე. ზუსტი რიცხვის დასახელება გამიჭირდება, მაგრამ მოგეხსენებათ, კოკოთს ე.წ. მთავრობის თავმჯდომარე ჰყავს, რომელსაც დავალებული აქვს ამ ყველაფრის გაკონტროლება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სერიოზული პრეტენზიები გამოითქმის ხელმძღვანელების ღონეზე, რომ შეუდარებლად ინტენსიურად ფინანსდება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ვიდრე თუნდაც იგივე ჩრდილოეთ ოსეთი. ამ საკითხების დღის წესრიგიდან მოხსნა პირდაპირ შედის რუსეთის ინტერესებში. რა პირობებში შეიძლება მოიხსნას ეს საკითხები, ეს უკვე შეიძლება იყოს საუბრის თემა.

დავით ზურაბიშვილი – მე არ ვიცი, რა იგულისხმეთ გეოპოლიტიკურ ხედვაში, მაგრამ როგორც არ უნდა განვითარდეთ, გეოგრაფიული მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პოლიტიკას. ის რომ ერთი მხრიდან შავი ზღვა გვაქვს, იქით არის კასპიის ზღვა, ჩრდილოეთ კავკასია და რუსეთი, განსაზღვრავს ჩვენს პოლიტიკურ მომენტებს. გვინდა თუ არა, ასეა. შეიძლება ამ საკითხებს უფრო დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ, ან პირიქით, მაგრამ ეს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, ჩემი აზრით. გეოპოლიტიკური ფაქტორი მოქმედებს იმის დამოუკიდებლად, შენ რა გინდა.

რამაზ საყვარელიძე – პატარა ქვეყნის სტრატეგია ყოველთვის არის დიდი ქვეყნების შუაში მოქცეული. მაგრამ ხშირად არც დიდი ქვეყნები არიან მონოპოლისტები. ერთადერთი, რაშიც ვკამათობთ მე და ბატონი დავითი, ის არის, უნდა თუ არა რუსეთს ექსკლუზივი, თუ მოილაპარაკებს ამერიკასთან იმაზე, რაც საჭიროა. ნიშანდობლივია ჩემთვის ის, რომ ყველაფერი გაყიდა საქართველომ მილის გარდა და არც რუსეთს დაუბოძავს ეს მილი ომის დროს. ასე რომ ჩვენ ვართ ტერიტორიაზე, სადაც რუსეთი და ამერიკა ერთმანეთს უთანხმდებიან.

დავით ჯიშკარიანი – საქართველოს მიერ ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეული ეთნიკური ჯგუფების აღიარება, მათი გენოციდის აღიარება როგორ იმოქმედებს ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე პერსპექტივაში?

დავით ზურაბიშვილი – შემოდის ძალიან მოკლედ მოგახსენოთ ჩემი აზრი. უარყოფითად იმოქმედებს.

ირაკლი მენღარიშვილი – თქვენ ხედავთ ალტერნატივას, რომ შეიძლება სხვანაირად იმოქმედოს? შედეგი მხოლოდ დესტრუქციული იქნება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზნეობრიობის მომენტი საგარეო პოლიტიკაში დავივიწყოთ, მაგრამ არის პრაგმატული მიდგომა, რომელშიც უნდა მოვაქციოთ ჩვენი შეხედულებები. საქართველოს საზოგადოება დღეს არ არის საკმარისად ინფორმირებული იმისთვის, რომ ასეთ საკითხებზე იმსჯელოს. ასე რომ ზოგიერთი პროცესი, რაც იქნა წამოწყებული, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან თამამია, ხოლო თუ რეალისტები ვიქნებით, ძალიან საშიში. ამ პირობებში მყოფ სახელმწიფოს ასეთ საშიშ თამაშებში ჩაბმის რესურსი დღეს არ გააჩნია. ამას ვამბობ მთელი ჩემი პატივისცემის მიუხედავად იმ ადამიანების ხსოვნის მიმართ, ვინც ასეთი საშინელი პოლიტიკის მსხვერპლი გახდა თავის დროზე.

გიორგი ჯანგიანი – ძალიან საინტერესო დისკუსიაა. ჩემი აზრით, ამ თემებზე დისკუსია თუნდაც იმისთვის არის აუცილებელი, რომ საზოგადოება უკეთესად იყოს ინფორმირებული, ჩამოყალიბებული და რომ ჩვენი პოზიცია არ გადაწყვიტოს მხოლოდ 2013 წლის არჩევნებმა.

ბატონ დავითთან მექნება კითხვა. თქვენ აღნიშნეთ, რომ არის მესამე გზა, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკებების აუცილებლობას არა მარტო რუსეთთან, არამედ ევროპასთან და ამერიკასთან დიალოგის შენარჩუნებასაც. მე ეს შესაძლებლობა იდეალისტურად მესახება. რა პრაქტიკულ შესაძლებლობას ხედავთ საამისოდ?

ბატონ რამაზთანაც მაქვს შეკითხვა. თქვენ ახსენეთ ქვეყანა, რომელიც ძალიან აქტუალური გახდა – ირანი. რამ განაპირობა თქვენს მიერ ამ ქვეყნის ხსენება. ხომ არ უკავშირდება ეს ვილაურის მომავალ ვიზიტს, რომელიც უკვე დაგეგმილია, თუ იცნობთ კიდევ სხვა ფაქტებს?

დავით ზურაბიშვილი – მე სხვა გზას ვერ ვხედავ. ვგულისხმობ ევროკავშირთან მიახლოების ტენდენციას უფრო მეტი პრიორიტეტის მინიჭებას. ევროპა რამდენად მზად არის, ეს ერთია, მაგრამ ეს გულისხმობს ქვეყნის შიდა მოწყობას, დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდას, საკანონმდებლო სივრცის მისადაგებას ევროკავშირის საკანონმდებლო სივრცესთან, და მიბმა იმ საერთაშორისო ურთიერთობებში, ინიციატივებში, ვიდრე ეს აქამდე იყო. დღეს ჩვენ საწინააღმდეგო გზით მივდივართ. ეს ეხება ეკონომიკურ პოლიტიკასაც. ბუნებრივია, იგულისხმება რუსეთთან ურთიერთობაც, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაც. დემოკრატიულობის ხარისხი ჩემთვის ნიშნავს მეტ კონსოლიდაციას ქვეყნის საზოგადოების შიგნითაც თუნდაც რუსეთთან ურთიერთობასთან მიმართებაშიც. ვილაც შეიძლება ფიქრობს, რომ უნდა შევასკდეთ, მაგრამ ეს კარგს არაფერს მოგვითმის, ან პირიქით, ვიყოთ პასიურები, როგორც დღეს ვართ, არც ეს მგონია დამთავრდეს კარგი შედეგით. მოქმედების სხვა გზას ვერ ვხედავ.

რამაზ საყვარელიძე – ირანთან დაკავშირებით მეტ ინფორმაციას არც მე ვფლობ, მაგრამ, ჩემი აზრით, რაც ვიცით, ესეც საკმარისია იმისთვის, რომ ვიფიქროთ. იმიტომ რომ

აშკარად გამოცოცხლდა ქართულ-ირანული ურთიერთობა მას მერე, რაც მთელ რიგ ქვეყნებში გაუჭირდა კონტაქტი უმაღლეს პირებთან ჩვენს ხელისუფლებას. თუკი ეს გამოცოცხლება ორიენტაციის შეცვლის შედეგია, აქაც იძებნება ლოგიკა. თუ ხელისუფლებას ევროპა და ამერიკა საყვედურობს დემოკრატიას, მოსაძებნია მხარე, რომელიც ამ საყვედურს არ იტყვის და თან რომელთან ურთიერთობაც შესაძლოა მაპროვოცირებელი იყოს დიდი ქვეყნებისთვის.

გიორგი ჯანგიანი – თუკი ირანს მომავალ ზურგად დავსახავდით, ამ შემთხვევაში როგორ განაწილდება რუსეთის ინტერესები ან ამერიკის ინიციატივა ჩვენთან დაკავშირებით. ან რა პოზიციას დაიკავებს ევროპა.

რამაზ საყვარელიძე – საგულისხმოა ის, რომ პარალელურად იცვლება რუსეთის და ირანის ურთიერთობაც. არ არის გამორიცხული, რომ ობამას მიერ შემოთავაზებული სისტემა რუსეთთან, ჩინეთთან და ამ ქვეყნებთან პარტიორობა რაღაც პრობლემების გადაწყვეტაში გააჩენს ქვეყნების ისეთ ბლოკს, რომელშიც ამ დიდი ქვეყნების გავლენა შემცირდება. შესაძლოა ასეთ ბლოკში აღმოვჩნდეთ. ევროპისკენ მიმავალი ენერგიული ნაბიჯით შეიძლება მივიდეთ ირანამდე.

გიორგი ნუსხელაძე – ითქვამს, რომ რუსეთის გავლენა საქართველოზე შესუსტდა. ჩემი აზრით, ეს გავლენა კი არ შესუსტდა, რუსეთი ცდილობს საქართველოს ისეთი დაპყრობა ისწავლოს, როგორსაც ამერიკა ახორციელებს ჩვენს ქვეყანაზე. გარდა ამისა, ევროპასაც აქვს თავისი სუსტი მხარეები. ბოლო-ბოლო უარი თქვას გაზზე, დასხდნენ ცოტა ხანი სიცივეში და ჭკუა ასწავლონ რუსეთს.

ბატონო დავით, თქვენ თქვით, რომ 2013 წლამდე რუსეთის ხელისუფლება არ დაელაპარაკება საქართველოს მხარეს, მაგრამ თუ გამართლდა ჭორები, რომ ჩვენთან მომავალი პრეზიდენტი შესაძლოა გიგი უგულავა გახდეს, პრემიერ-მინისტრი კი სააკაშვილი, რუსეთში კი, პუტინი – პრეზიდენტი და მედვედევი – პრემიერ-მინისტრი, მაშინ რა აზრი აქვს 2013 წლის ლოდინს? მივუშვათ ოპოზიცია და მათი დახმარებით მოვაგვაროთ ურთიერთობა.

დავით ზურაბიშვილი – რუსეთისთვის სასურველია მისთვის ხელსაყრელი ხელისუფლების მოსვლა. საპრეზიდენტო არჩევნები კი მას ამის შანსს აძლევს. ამისთვის როგორ მოემზადება და რა პროცესებს განახორციელებს ქართულ შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს ცალკე თემაა. ცხადია, ის შეეცდება ისეთი ხელისუფლების მოყვანას, რომელიც დაასრულებს იმ პროცესს, რომელიც დიდწილად მას უკვე განხორციელებული აქვს. ვგულისხმობ მის ექსკლუზიური გავლენის სფეროში ქართული სახელმწიფოს მოქცევას. კონკრეტულად რომელ პერსონაზე გაკეთდება არჩევანი მათ მიერ, ეს სხვა საკითხია.

ირაკლი მენაღარიშვილი – ირანის თემის ირგვლივ უკანასკნელ პერიოდში მართლაც გაჩნდა ინფორმაცია. ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ ესეც საკმარისია იმისთვის, რომ შეშფოთება გამოეწვიო საზოგადოების იმ ნაწილში, ვისაც ესმის რა ხდება. რეაქცია ამას მაშინვე მოჰყვა. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მაშინვე განაცხადა, რომ აჰმადინეჯადი არ მოუწვევიათ. სიტუაციას ასე შევაფასებდი, მართლაც გადაიდგა ცალკეული ნაბიჯები, რომლებმაც არ დატოვა დაბალანსებულის შთაბეჭდილება. არადა ჩვენთვის კატეგორიულად

აუცილებელია ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება, ისტორიული თანამშრომლობის გაგრძელება, დიალოგის შენარჩუნება. ამასთან ერთად ყოველივე ამის ძალიან მკაცრი ბალანსის რეჟიმში განხორციელება. გაჩნდა ამ ბალანსის დარღვევის ეჭვები და მას მოჰყვა რეაქცია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მოგეხსენებათ, აბსოლუტურად თავისუფალი არავინ და არაფერი არ არის, ყველაფერს აქვს თავისი ლიმიტები და შესაბამისად ამიტომაც არ მეჩვენება, რომ აპოკალიპტური სცენა, რომელიც ბ-მა რამაზმა აღწერა, რეალურად შეიძლება განხორციელდეს. თუმცა ნუ გამოვრიცხავთ იმას, რომ ვიღაცას შეიძლება მართლაც მოუვიდეს თავში ასეთი არცთუ რაციონალური იდეა. შეიძლება მიბადონ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკოსებს, რომლებიც ასეთი ბალანსირების პოლიტიკით მართლაც აღწევდნენ წარმატებებს. გაიხსენეთ იუგოსლავიის მაგალითი. მაგრამ ახლა ის დრო აღარ არის და არც საქართველოა სახელმწიფო, რომელსაც ასეთი რაღაცის კეთება შეუძლია. ირანთან ძალიან დელიკატური პოლიტიკის გატარება გვმართებს და ამას აქვს თავისი საზღვრები. ძალიან კარგად უნდა გრძნობდეს ამ საზღვრებს ის ადამიანი, ვინც ირანთან პოლიტიკას გეგმავს და ახორციელებს.

გიორგი შუბითიძე, კონფლიქტოლოგი – ბატონო ირაკლი, თქვენ ახსენეთ, რომ აგვისტოს ომს თუ მოჰყვა პოზიტიური შედეგები, ესენია ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნა, რომელშიც ცხადად ითქვა რუსეთის როლზე ამ კონფლიქტში, და ევროკავშირის გააქტიურება ამ კონფლიქტთან მიმართებაში.

ირაკლი მენაღარიშვილი – დავაზუსტებ, ეს არ არის ომის შედეგი. ეს არის იმ მოვლენების შედეგი, რომლებიც აქ მოხდა. ეს იყო არა ომის პოზიტიური შედეგი, არამედ ორი პოზიტიური ნიშანი საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე.

რამაზ საყვარელიძე – დავუმატებ იმ თანხას, რომელიც გამოიყო ამ ომის შემდეგ და ეს კრიზისი გადაგვატანინა.

გიორგი შუბითიძე – გუშინ წავიკითხე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროკავშირში დაიწყო დისკუსია სამხრეთ კავკასიაში საგანგებო წარმომადგენლის მისიის გაუქმებასთან დაკავშირებით. ეს პოზიცია შესაძლოა გაუქმდეს მხოლოდ სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვეთში. რა რეაქცია ექნება ამაზე რუსეთს.

ირაკლი მენაღარიშვილი – ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს დაკავშირებულია ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ შიდა გადაადგილებებსა და ბიუროკრატიული აპარატის გადაწყობასთან ევროკავშირში. ეს ცვლილება პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი არ გახლავთ. თუმცა შეკითხვა კორექტულია, რუსეთმა ის შეიძლება წაიკითხოს როგორც ევროკავშირის აქტიურობის კლებად რეგიონში და ამისთვის, ჩემი აზრით, საგარეო საქმეთა სამინისტროში აუცილებელია სასწრაფოდ დიალოგი ევროკავშირთან, რომ მსგავსი მესიჯი დაბალანსდეს რაიმე სხვა გზავნილით. იმედი მაქვს ამაზე ფიქრობენ. თავის დროზე ეს თანამდებობა არ შექმნილა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით, უშუალოდ მას არ უკავშირდება.

ციალა ქათამაძე – აქ ითქვა, რომ აუცილებელია ოსებთან და აფხაზებთან პირდაპირი დიალოგი. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ჟენევის ფორმატის გადახედვა, ქართველების და აფხაზების უშუალო დიალოგი.

დავით ზურაბიშვილი – დღეს ეს გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ადრე, თუმცა ჩემი აზრით, აუცილებელია. სახალხო დიპლომატია იქნება თუ არასამთავრობო სექტორი, ამ რესურსის გამოყენებას სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს. სახელმწიფოს ნების გარეშე ეს შეუძლებელია.

ციალა ქათამაძე – როგორ ფიქრობთ, რა მოყვება საქართველოს მიერ ხმამაღლა გაცხადებას, რომ ის უარს ამბობს რუსეთთან დიალოგზე და უნდა პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან.

დავით ზურაბიშვილი – ეს ძალიან მიაბიძგური განცხადება იქნება და შედეგად იმას მივიღებთ, რომ არც ის გამოვა და არც ის.

ირაკლი მენაღარიშვილი – როგორ წარმოგიდგენიათ პირდაპირი დიალოგი, ვის უნდა ელაპარაკოს საქართველოს სახელმწიფო, სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის სახელმწიფოს?

ციალა ქათამაძე – თუ მართლა გვინდა დიალოგი და პრობლემის გადაჭრა, ხომ შეიძლება რაღაც დავთმოდო? ყველაზე ძლიერი თმობს რაღაცას, რათა თავისი სიძლიერე დაამტკიცოს.

ირაკლი მენაღარიშვილი – თუკი თქვენს მიერ შემოთავაზებული ფორმატი არ გუსლისხმობს იმას, როგორც მე გავიგე, მაშინ ჩემი პასუხი ცალსახა იქნება – ეს აუცილებელიც არის და შესაძლებელიც. ნუ გვექნება ილუზია, რომ სასურველი ერთ ღამეში ახდება, ეს ხშირად დროში გაწელილი პროცესია. მაგრამ უნდა არსებობდეს მიზანი, რომლის მიღწევასაც შევეცდებით.

თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესიდან, კონფლიქტების მოწესრიგების პროცესიდან რუსეთის ამოგდება მისი იგნორირების გზით, თავის მოტყუებაა. ამიტომ რუსეთთან დიალოგიც საჭიროა და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის მობილიზაცია იმისათვის, რომ საბოლოოდ მივაღწიოთ იმგვარი პირობების შექმნას, რომ ჩვენი შერიგება რეალური გახდეს. ამ პროცესებში ყველა სიტყვას მნიშვნელობა აქვს, ჩვენი ყველა მოძრაობა უნდა იყოს ერთიანი სტრატეგიის ნაწილი.

დისკუსიის დასაწყისში ვახსენე კონფლიქტების მოწესრიგების სტრატეგია, რომელიც გამოქვეყნებულია. მიუხედავად იმ შენიშვნებისა, რომლებიც მის მიმართ ჯერ კიდევ არსებობს, ეს ძალიან პოზიტიური მოვლენაა. იმიტომ რომ არის კორექტული განაცხადების ნაკრები. მაგრამ მას შესრულებაც სჭირდება. იმიტომ რომ ასეთი ფენომენი ადრეც იყო, ჯერ კიდევ 90-იან წლებში, როდესაც საქართველომ საქვეყნოდ განაცხადა და გაეროს გენერალურ ასამბლეას წარუდგინა მემორანდუმი, სადაც ამტკიცებდა, რომ იგი მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყვეტდა თავისი ტერიტორიული კონფლიქტების პრობლემას. თუმცა, შემდეგ გილაევის რაზმი გამოჩნდა აფხაზეთში. თუ ასეთი არათანმიმდევრულები ვიქნებით, ეს

სტრატეგია კი არა, ცივი ომის პერიოდის სტილზე მორგებული დიპლომატიური ფარი იქნება რაღაც თამაშებისთვის და არა გულწრფელი სურვილი შერიგებისა.

გიორგი კეყერაშვილი, თსუ სტუდენტი – ბატონო რამაზ, თუ თქვენი ვარაუდი სწორად გავიგე, რუსეთს საკმაოდ ძვირი უჯდება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია, როდესაც მათგან სარგებელს ვეღარ ნახავს, თუ ის პრაგმატული სახელმწიფოა, მისგან რაციონალური გადაწყვეტილება იქნება ამ რეგიონების მიტოვება. ხომ არ იქნება ეს ნეგატიური პრეცედენტი იმისა, რომ მან გამოიყენა და მიატოვა საკუთარი პარტნიორი. რა რეაქცია ექნებათ ამაზე თუნდაც ცენტრალურ აზიაში.

რამაზ საყვარელიძე – წერტილი კითხვისა კარგად არის ნაპოვნი, მაგრამ მე მგონი ეგ ვარიანტი წინა კითხვებთან არის კავშირში. კერძოდ იმასთან, მოლაპარაკება მოხერხდება თუ არა. რუსეთი შედის ამ რეგიონებში და შედის საკმაოდ მძიმედ. ოსები არ ვიცი როგორ აფასებენ ამ პროცესს, მაგრამ აფხაზეთში გარუსების პროცესს ძალიან მტკივნეულად განიცდიან. ეს პროცესი თუ გაძლიერდა, აფხაზები მწვავედ აღარ განიცდიან მერე რუსეთის ღალატს, პირიქით, და შენთან მოლაპარაკებაზეც უფრო წამოვლენ. იმიტომ რომ მისთვის შეიძლება არა აქვს დიდი განსხვავება, მაგრამ კიდევ უფრო უარესია რუსეთმა გაუკეთოს ასიმილაცია, ვიდრე საქართველომ. პერსპექტივაში ეს საკითხი დადგება.

ვახტანგ წოწონავა – უნდა დავეთანხმო ბატონ რამაზს, საუბარი იმის შესახებ, რომ კიდევ რაიმე უარესს უნდა მოველოდეთ რუსეთისგან, ფანტასტიკის ნაწილს წარმოადგენს. მაშინ როდესაც ბიზნესის ყველა სფერო რუსეთის ხელშია, როდესაც მათი რეგულარული არმია თბილისიდან 40 კმ-ში იმყოფება. სხვა ამაზე უარესს რას უნდა მოველოდეთ. მიმაჩნია, რომ რუსეთის შესწავლისთვის დიდი დრო იქნა დაკარგული. გაგახსენებთ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის სხდომას, როდესაც საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმა კითხვაზე, ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთი ჩაებმებოდა ასეთ ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში, უპასუხა, რომ ისინი არ ელოდნენ ამას. მე წარმომედგინა, რომ სპეცსამსახურები ცოტა უფრო რაციონალურ მონაცემებზე დაყრდნობით მუშაობდნენ და არა მარჩიელობდნენ, რაღაც მოხდებოდა თუ არა.

რამდენად პერსპექტიულად მიგაჩნიათ ბატონო ირაკლი, რუსეთისგან იმ დათმობების მიღება, რაც ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პირველ რიგში ვგულისხმობ უსაფრთხოების გარანტიას, რომ აღარ განმეორდება ომი, და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ირაკლი მენღარიშვილი – ის პრაქტიკა, რომელიც გვაქვს უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში, ვგულისხმობ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარს, გვაძლევს ჩემი აზრით იმის საფუძველს, რომ იმედი ვიქონიოთ, რომ ამოცანის ასეთი დასმა კორექტულია. ფაქტორები, რომლებიც ასეთ ვარაუდს დაგვაშვებინებს, არის რუსეთის ინტერესები, გლობალური ტენდენციები, რის გამოც უშუალო სამეზობლოში მსგავსი დაძაბული სიტუაცია ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის ყველაზე დიდი სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. ასეთი პერსპექტივა მხოლოდ ხანგრძლივ პერიოდში შეიძლება იყოს ნავარაუდევია, იმიტომ რომ ასეთი საკითხის სწრაფად გადაწყვეტის მაგალითი ჯერ არ გვქონია. იყო მომენტები, როცა

შეიძლება საკითხის მოგვარება სწორი გზით წასულიყო, მაგრამ სამწუხაროდ ეს მომენტები ხელიდან გავუშვით. ამიტომ ახლა მეტი მოთმინება გვჭირდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს რუსეთის იგნორირებას, ეს ნიშნავს აქტიურ მუშაობას. დიალოგი სულაც არ ნიშნავს დათმობას და ცალმხრივი კომპრომისების კეთებას. ეს უნდა იყოს სწორედ იმ დღის წესრიგისკენ სვლა, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესებს უნდა პასუხობდეს.

ნათუნა მურღულია – შეიძლება თუ არა, რომ დიალოგზე უარის თქმა იყოს სიტუაციიდან ერთ-ერთი გამოსავალი. მაგალითად, საქართველო განვითარდეს რუსეთთან დიალოგის გარეშე და დაველოდოთ ჩვენთვის ხელსაყრელ ისტორიულ მომენტებს, როგორც გერმანია გაერთიანდა 50 წლის შემდეგ. შეიძლება ეს მეთოდი იყოს ერთ-ერთი გამოსავალი?

– როგორ ფიქრობთ, რაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი, ტერიტორიულ მთლიანობაზე თუ იმაზე, რომ გავზარდოთ ჩვენი სუვერენიტეტი და შევქმნათ ეკონომიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო?

ირაკლი მენღარიშვილი – თუ ქვეყანაში მისი შიდა სტაბილურობა არ დაეფუძნება დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ძლიერ სახელმწიფოზე საუბარი ზედმეტი იქნება. ეფექტური პარტნიორობა სიძლიერის პოზიციიდან კი არ არის საჭირო, არამედ იმ პოზიციებიდან, როდესაც შეგიძლია ხმა მიაწვდინო პარტნიორს, როგორც შემდგარმა სახელმწიფომ. სხვათა შორის, მცირე სახელმწიფოებისათვის, ისეთი, როგორიც საქართველოა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოდელი არის უსაფრთხოების კოლექტიურ სისტემაში მონაწილეობა. ამიტომაც გვინდოდა ჩვენ ნატოში შესვლა. ასეთ სტრუქტურას რომ ეარსება დსთ-ს სივრცეში, არც მისი საწინააღმდეგო უნდა გვექნოდნა რამე, თუკი ის დაიცავდა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ბაზისურ პირობებს უზრუნველყოფდა. მაგრამ დსთ-ში ასეთი სტრუქტურის შექმნა წარმოუდგენელი იყო იმ ღირებულებებიდან გამომდინარე, რაც იქ იყო.

რაც შეეხება დიალოგზე უარის თქმას, ძნელად წარმომიდგენია ამან პრობლემა გადაწყვიტოს. იმიტომ რომ დიალოგში მხოლოდ საუბარს ხომ არ ვგულისხმობთ. რუსეთთან ასეთი ურთიერთობის ყოველი დღე ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მუშაობს. ეს არ გახლავთ მხოლოდ ეკონომიკური დანაკარგი, რომლის კომპენსირებაც შესაძლებელია, აქ უამრავი სხვა განზომილებაა.

მაგდა გურული, ხელოვნებათმცოდნე – მანტერესებს თქვენი აზრი, რა მოხდებოდა საქართველოს რომ თავად ელიარებინა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი? და მერე მიგვეხედა საკუთარი ქვეყნის განვითარებისთვის. თქვენ ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი უფრო მეტად შემოიჭრებოდა? მრჩება შთაბეჭდილება, რომ კონფლიქტი აწყობს ყველას, როგორც ჩვენს პრეზიდენტობის კანდიდატებს, ისე რუსეთს. ყველა კარგად იყენებს ამ სიტუაციას და არა მგონია, ვინმეს ჰქონდეს ამ კონფლიქტების მოწესრიგების მოტივაცია.

მინდა კიდევ ერთი რამ გავიხსენო, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შევხვდი სოხუმიდან ნათესავებთან ჩამოსულ რამდენიმე ადამიანს, მაშინ ჯერ კიდევ იყო კონტაქტის საშუალება. იყო საუბარი ქართული ბანკების ფილიალების გახსნაზე, ეს ხალხი ძალიან მონდომებული იყო. მაშინ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა ჩემი აზრით, მაგრამ

რატომდაც კონფრონტაციული გზა ავირჩიეთ. ამიტომ, როდესაც რუსეთზე ვლაპარაკობთ, არც საკუთარი შეცდომები უნდა დავივიწყოთ, რომ მომავალში აღარ გავიმეოროთ.

დავით ზურაბიშვილი – ჯერ ერთი, არ ყოფილა ამის საჭიროება, აფხაზეთთანაც და ოსებთანაც გონივრული პოლიტიკის მეშვეობით თავისუფლად შეიძლებოდა სხვაგვარი ურთიერთობის აწყობა. ჩვენი მხრიდან ინიციატივის გამოჩენა, რომ დამოუკიდებლობა ელიარებინათ, სწორი არ იქნებოდა. ომის მერეც იყო ასეთი შესაძლებლობები. მათი დამოუკიდებლობის აღიარება ჩვენ დამატებით სხვა პრობლემებსაც შეგვიქმნიდა, მაგალითად ჯავახეთში. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ეს უბრალოდ გამორიცხული იყო. ჩემს გამოსვლაში ვთქვი, რომ ქვეყნის დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას უნდა მიექცეს პრიორიტეტული ყურადღება, თუმცა რუსეთის იგნორირება და დაკარგული ტერიტორიების დაიწყო შეუძლებელია. ქვეყნის შიდა განვითარებას ვერ გამოვეყოფთ ამ სიტუაციიდან. შიდა განვითარება გამორიცხავს ერთი მხრივ კონფრონტაციას რუსეთთან და მეორე მხრივ, ჩაბარების პოლიტიკას.

რამაზ საყვარელიძე – ვეთანხმები ორივე მომხსენებელს, რომ იზოლაცია შეუძლებელია. ბატონი ირაკლის ჩამონათვალს დაუმატებდი იმას, რომ რუსეთში ერთი მილიონი ქართველი ცხოვრობს, რომელიც გზავნის საქართველოში ფინანსებს. მეორეც, რას იძლევა ეს სტრატეგია, რას გვაძლევს გაბუტვის პოლიტიკა, რა ლოგიკას ეფუძნება? თუკი აღმოჩნდება, რომ პარტნიორული პოლიტიკური კლიმატი დგება, მაშინ სულ გაუგებარი ხდება გაბუტვის სტილი.

რაც შეეხება აღიარებას, აქაც ვეწინააღმდეგებით ლოგიკას. თუკი რუსეთს ეს რეგიონები ზეწოლისთვის სჭირდება, მათი ჩვენს მიერ აღიარება რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა და ის სხვა რამეს მოგიწყობდა. თან სად დაგახვედრებდა ამ აღიარებას, არავინ იცის.

ივლიანე ხაინდრავა, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი – დღევანდელ დისკუსიას ფონად გასდევდა, რომ რუსეთი ცუდია, ევროპამ გაგყვიდა და არ დაგვიცვა. ევროპისთვის ცოტა ძნელი იქნებოდა ჩვენი დაცვა ჩვენივე უგუნურებისგან. თვალი გადავავლოთ უკანასკნელი ოცი წლის ისტორიას. სულ რაღაც უბედურება ხდება ჩვენს თავს, მუდმივად ჩნდება ინსპირატორი, აგრესორი. 80-90-იანი წლების მიჯნაზე ოსეთში ლოკალური ომი ალბათ მართლაც რუსეთის ინსპირირებული იყო, მაგრამ მასში ქართველები იბრძოდნენ, აფხაზეთშიც, ალბათ ესეც რუსეთის ინსპირირებული იყო, მაგრამ ჩვენ შევიყვანეთ ჯარი. იყო კოდორის მოვლენები, გილავეის რეიდი. 2004 წელს ფართომასშტაბიანი ომიდან ერთ ნაბიჯში გაეჩერდით. 2008 წელს მოხდა ომი, ისიც ცხადია ვილაცის ინსპირირებული იყო, მაგრამ რატომდაც ყველაფერი ქართველების ხელით კეთდებოდა. ცოტა დავფიქრდეთ და მოვლენებს ამ კუთხიდანაც შევხედოთ. მხოლოდ რუსეთი არ არის ცუდი, მხოლოდ ევროპა არ არის გამყიდველი, მხოლოდ ობამას არ გადაუხვევია კურსიდან. იქნებ ჩვენს საზოგადოებაში არ არის რაღაც ისე, როგორც უნდა იყოს. იქნებ გავაანალიზოთ ეს ყველაფერი და ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე.

ირაკლი მენღარიშვილი – ძნელია არ დაეთანხმო ივლიანეს. მართლაც უკეთესი იქნება, თუ ჩვენს წილ პასუხისმგებლობას ვიტვირთავთ, იმისთვის რათა აღარ გავიმეოროთ

შეცდომები. იმიტომ არა, რომ ყველაფერში ჩვენ ვართ დამნაშავეები. ყველაფერ ამას სჭირდება კორექტული მიდგომა და უფრო მეტი ცოდნა, თუ რა ხდება ჩვენს ირგვლივ და ჩვენი პოლიტიკის აგება სწორედ ამაზე. და ბოლოს, როდესაც დიალოგზე და რუსულ-ქართული ურთიერთობის პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, უნდა ამოვიღეთ სრულიად ბანალური ჭეშმარიტებიდან, რომ კეთილმეზობლურ დაბალანსებულ ურთიერთობას მეზობლებთან ალტერნატივა არა აქვს. ეს ჩვენი ამოცანა უნდა იყოს და მისგან თავს ვერ დავიძვრებთ. შეუძლებელია ქვეყნის განვითარება დაუბალანსებლად. ამიტომ მინდა ყველამ დავიჯეროთ, რომ ეს ამოცანა გადასაწყვეტია, ოღონდ ისე, რომ ქვეყნის ინტერესებს შეესაბამებოდეს.

დავით ზურაბიშვილი – რასაკვირველია, ჩვენშია ყველა პრობლემა და ეს შიდა საკითხია, მაგრამ ქართული კულტურისთვის დამახასიათებელია ერთი უცნაური ფენომენი, რომელიც სცილდება დღევანდელი დისკუსიის თემას, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ მოგვეპოვება საკუთარი წარსულის კრიტიკულად გააზრების პრეცედენტი. ეს ეხება არა მარტო უახლეს, არამედ საქართველოს ისტორიას საუკუნეების განმავლობაში. ერთადერთი პრეცედენტია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, და ამაზეც ყველა ამბობს, რა ჰქონდა მოსანანიებელი. რატომღაც არა ვართ ორიენტირებულები იმაზე, რომ კარგად გავაანალიზოთ მომხდარი. არ გვიყვარს შეცდომების აღიარება არც პოლიტიკაში, არც სხვა სფეროში. ეს ძალიან ართულებს იმის გააზრებას, მომავალში რა უნდა გავაკეთოთ. ამიტომ მუდმივად ვუშვებთ ერთსა და იმავე შეცდომებს.

ზვიად ქორიძე – ალბათ ბოლო ოცი წლის ისტორია ამყარებს იმ არგუმენტებს, რაც ბოლოს მოვისმინეთ. ფაქტია, რომ ასეთი რეალობის წინაშე დგას ჩვენი საზოგადოებაც და სახელმწიფოც. ინტერესი ამ თემის მიმართ მართლაც დიდი იყო. შეიძლება რაღაც მონაკვეთებში ავცდით დისკუსიის მთავარ ხაზს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთლიანობაში მაინც შევეცადეთ, რომ გვესაუბრა იმაზე, თუ რას წარმოადგენს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები დღევანდელ ვითარებაში და აქვს თუ არა მას დინამიურ რეჟიმში გადასვლის პერსპექტივა.